ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

საქართველო

ოზურგეთი
2019

მერის მიმართვა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი 2018 წელს შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას "მერები ეკონომიკური ზრდისთვის", რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტს აძლევს საშუალებას მომზადდეს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა და ისარგებლოს ევროკავშირის და სხვა დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით პროექტების განხორციელების პროცესში.

სხვა გეგმებისაგან განსხვავებით, აღსანიშნავია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის მომზადების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს საჯარო და კერძო პარტნიორობას. მხოლოდ თანამშრომლობის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები იქნება წარმატებული.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები სოფლის მეურნეობის, ტურიზმის და გადამამუშავებელი წარმოების განვითარებაა. ქვეყანაში ხორციელდება მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამები სექტორის განვითარებისათვის, ჩვენის მხვრივ დაგეგმილია საქმიანობები, რომელიც ხელს შეუწყობს კერძო სექტორის წახალისებას განვითარებისათვის.

გამოვხატავ სრულ მზადყოფნას ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობების განხორციელებისათვის. ასევე, მზად ვარ მხარი დავუჭირო ყველა სასარგებლო ინიციატივას როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას და დასაქმების ზრდას.

მინდა მადლობა გადავუხადო ევროკავშირის ინიციატივის ''მერები ეკონომიკური ზრდისთვის'' სამდივნოს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის'' მომზადების პროცესში მხარდაჭერისთვის.

ასევე მინდა მადლობა გადავუხადო გეგმის მომზადების პროცესში ჩართულ ყველა მხარეს: კერძო ბიზნესს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ჩემს მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრებს გეგმის მომზადების პროცესში აქტიური მონაწილეობისათვის.

კონსტანტინე შარაშენიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

გეგმის ასლის მისაღებად, გთხოვთ, დაუკავშირდეთ:

სახელი, გვარი: ალეკო მამეშვილი
თანამდებობა: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი
მისამართი: ოზურგეთი, კოსტავას #1
ტელეფონი: +995591226622
ელ-ფოსტა: meriaozurgeti2018@gmail.com
ვებგვერდი: www.ozurgeti.mun.gov.ge

1. შემაჯამებელი შინაარსი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული ეკონომიკური განვითარების გეგმა წარმოადგენს საჯარო და კერძო სექტორის მიერ ერთობლივად მომზადებულ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს მოკლევადიან (09.2019-08.2021) პერიოდში გასატარებელ საქმიანობებს, რათა მიღწეულ იქნეს დაგეგმილი მიზანი: აგრარული სექტორის განვითარება და ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა; მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების ზრდა;მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის ეკონომიკის განვითარების ძირითად მიმართულებას სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და გადამამუშავებელი მრეწველობა წარმოადგენს. მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელი ძირითადი ეკონომიკური გარემოებები კარგ პირობებს ქმნის განვითარებისათვის: სუბტროპიკული ზონისათვის დამახასიათებელი ხელსაყრელი კლიმატური პირობები, ზღვის და მთის კურორტების, ბათუმის და ფოთის საზღვაო პორტების, ბათუმის და ქუთაისის აეროპორტების სიახლოვე, ძლიერი საზოგადოებრივი და სამეცნიერო სექტორი.

არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე მოკლევადიანი ეკონომიკური განვითარების გეგმა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო საქმიანობებს, მათ შორის: ადგილობრივ წარმოების პოპულარიზაცია ტრადიციულ ფესტივალებსა და გამოფენებში მონაწილეობის გზით, ფერმერთა წარმოების უნარ-ჩვევების გაძლიერება სადემონსტრაციო და სანერგე მეურნეობების მოწყობით, ტურიზმის, სოფლის მეურეობის სფეროში დასაქმბულთა ცოდნის დონის ზრდა საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების გზით, ქალ მეწარმეთა ჩართულობის ზრდა. გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს განხორციელების მონიტორინგს, რომელსაც განახორციელებს მერიაში შექმნილი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭიო, რაც შექმნის საუკეთესო პრაქტიკას ზიარი მმართველობისათვის.

გეგმაში მოცემულია თითოეული საქმიანობისათვის საჭირო ფინანსური რესუსრების შესახებ, საჭირო ბიუჯეტით დაფინანსების წყარო შეადგენს 93.0%, მათ შორის: ადგილობრივი ბიუჯეტი 17,0%, ცენტრალური ბიუჯეტი 33,0 %, კერძო სექტორი 4,0%, დონორი ორგანიზაციები 39,0%, დანაკლისი დაფინანსებაში 7.0% (დაფინანსების სქემა იხ. ცხრილი 2).

2. სარჩევი

მერის მიმართვა	2
1. შემაჯამებელი შინაარსი	3
2. სარჩევი	4
3. ცხრილების და დანართების სია	4
3.1. ცხრილები	4
3.2. დანართები	4
4. გეგმის შესავალი	5
5.ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი	5
6.ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი	6
6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი	6
6.2.ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური ურთიერთობები	8
6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისგან	10
თავისუფალი ადმინისტრაცია:	10
6.4.ფინანსების ხელმისაწვდომობა:	10
6.5.მიწა და ინფრასტრუქტურა:	11
6.6.მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო:	12
6.7.უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა:	13
6.8.გარეპოზიციონირება და მარკეტინგი:	13
7. SWOT ანალიზი	14
8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხედვა და მიზნები	16
9. სამოქმედო გეგმა	17
10. დაფინანსების სქემა	22
11.მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები	23

3. ცხრილების და დანართების სია

3.1. ცხრილები

ცხრილი1. სამოქმედო გეგმა
ცხრილი 2: დაფინანსების სქემა
ცხრილი 3. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

3.2. დანართები

დანართი 1. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის 17.12.2018 ბრძანება #6361, "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმის მომზადებისათვის სამუშაო ჯგუფის შექმნისშესახებ";
დანართი 2. ბიზნეს საწარმოთა კლასიფიკაცია ეკონომიკური საქმიანობის და ზომის მიხედვით;
დანართი 3.ადგილობრივი თანამშრომლობის შეფასება;
დანართი 4. მზარდი სექტორები (ქვესექტორები) და მათი გამოწვევები;
დანართი 5. ბიზნეს სექტორის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა
დანართი 6. კერძო სექტორის საჭიროებები მიწისა და ინფრასტრუქტურის სფ;ეროში;
დანართი 7.საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები;
დანართი 8. განხორციელებული სახელმწიფო პროგრამები;

4. გეგმის შესავალი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა 2018 წლის ოქტომბერში ხელი მოაწერა ევროკავშირის ინიციატივას "მერები ეკონომიკური ზრდისთვის" კლუბში გაწევრიანების შესახებ.

M4EG-ის ინიციატავა შესაძლებობას აძლევს მუნიციპალიტეტებს კვალიფიციური ექსპეტების მონაწილეობით მომზადდეს მოკლევადიანი ეკონომიკური განვითარების გეგმა და საზოგადოების ჩართულობით მოხდეს მისი განხორციელების მონიტორინგი. გაუმჯობესებული მომსახურება კი არის სწორედ ადგილობრივი თვთმმართველობის საქმიანობის ძირითადი სტრატეგია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი გააგრძელებს თანამშრომლობას კერძო სექტორთან და უზრუნველყოს მათ მონაწილეობას გეგმის განხორცილებისა და მონიტორინგის პროცესში. ეს გეგმა შემუშავებულია M4EG სტანდარტების სრულ შესაბამისობაში, რომლის უმთავრესი პრინციპია კერძო სექტორის მონაწილეობა დაგეგმვა-განხორციელება-მონიტორინგის პროცესში.

წარმოდგენილი გეგმა თანხვედრაშია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020, საქართველოს ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2025; გურიის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021, გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიასთან. მომზადებული გეგმა წარმოადგენს ქვეყანაში მოქმედი დაგეგმვის სიტემის დამატებით დოკუმენტს.ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა მუშავდება კონკრეტული ეკონომიკური გამოწვევების გადასაჭრელად, რომელიც გეგმაშია აღწერილი. ეს არ არის ყოვლისმომცველი გეგმა და ვერ ჩაანაცვლებს ან წინააღმდეგობაში ვერ მოვა სხვა გეგმებთან, წარმოდგენილი ეკონომიკური განვითარების გეგმა ვიწროდ ფოკუსირდება კერძო სექტორის განვითარებაზე, რათა ხელი შეუწყოს ბიზნესის ზრდას, განვითარებასა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

გეგმაშემუშავებულიაკერძოსექტორსადასამოქალაქოსაზოგადოებასთანაქტიური თანამშრომლობით, ინიციატივის „მერებიეკონომიკურიზრდისთვის" სტანდარტებისშესაბამისად.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი გაითვალისწინებს ფინანსურ თანამონაწილეობას 2020-2021 წლების ბიუჯეტის შემუშავების პროცესში გეგმის განხორციელების მიზნით, ასევე მოხდება დაფინანსების მოძიება სხვა დონორი ორგანიზაციებიდან და სახელმწიფო პროგრამებიდან.

5.ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის მთავარი პრინციპია სექტორებს შორის თანამშრომლობა, საჯარო-კერძო პარტნიორობადა ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მხოლოდ დაინტერესებული პირების ჩართულობას შეუძლია შედეგზე ორიენტირებული სამოქმედო გეგმის მომზადება და მათი მონაწილეობა გეგმის განხორციელების მონიტორინგის პროცესში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების ძირითად პრინციპს წარმოადგენს.

LEDP-ის მომზადების პროცესი განხორციელდა ევროკავშირის ინიციატივის "მერები ეკონომიკური ზრდისთვის" მეთოდოლოგიის შესაბამისად. 2018 წლის 17 დეკემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შეიქმნა ოთხი წევრისაგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების ჩართულობით. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს LED ოფიცერი, რომლის შერჩევა მოხდა ოზურგეთის მერის მიერ (იხ დანართი: მერის ბრძანება). წევრთა შერჩევა მოხდა შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით: დაგეგმვის გამოცდილება; ინფორმაციების მოძიების და ანალიზის კვალიფიკაცია; დონორ ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება; სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელი.სამუშაო ჯგუფს გააჩნდა გაწერილი საქმიანობის გეგმა, რომელიც ვადებში იქნა დაცული.

გეგმის მომზადების პერიოდში ეწყობოდა შეხვედრები პარტნიორთა ჯგუფთან, სამუშაო ჯგუფმა მათ წარუდგინა მომზადებული მასალები განხილვისათვის. პარტნიორთა ჯგუფის შემადგენლობაში იყო 20-მდე ადგილობრივი სამეცნიერო, კერძო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათი მოსაზრებები, შენიშვნები აისახა ეკონომიკური განვითარების გეგმაში, რომელმაც განაცხადს მეტი ლეგიტიმაცია შესძინა. პარტნიორთა ჯგუფის შერჩევა მოხდა მათი გამოცდილების და გენდერული პრინციპის დაცით, სადაც 40% შეადგენს ქალებს.

6.ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი

ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ძირითადი სექტორებია: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ვაჭრობა/მომსახურება, გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს 2018 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს 2897 აქტიური სუბიექტი, მ.შ.ბიზნეს სექტორის მოქმედ საწარმოთა რაოდენობა შეადგენს 1871 ერთეულს. მუნიციპალიტეტში მოქმედი ბიზნესებს შორის 99% მცირე საწარმოა (იხ. დანართი 2).

2015წელთან შედარებით ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა 2018 წელს 68%-თაა გაზრდილი. საწარმოების ზრდას ხელი შეუწყო ბოლო 4 წლის განმავლობაში ბიზნესის ხელშემწყობმა სახელმწიფო პროგრამებმა, განსაკუთრებით აღსანიშნავია:სააგენტო "აწარმოე საქართველოში"; სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს პროგრამები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას ტურიზმი წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი ფლობს უნიკალურ კურორტებს როგორც ზღვისპირეთზე, ასევე, ალპურ ზონაში. მუნიციპალიტეტის კურორტები საშუალებას იძლევა ზამთარ-ზაფხულ უმასპინძლოს დამსვენებლებს საქართველოდან თუ საზღვარგარეთიდან, რაც ბიუჯეტის ზრდისა და მოსახლეობის დასაქმების საშუალებაა.

მუნიციპალიტეტის ზღვისპირეთის კურორტებია ურეკი და შეკვეთილი და სამთო კურორტი გომისმთა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზღვაო კურორტებზე (ურეკი, შეკვეთილი) ტურისტების საშუალო რაოდენობა 2016-2017 წლის მაჩვენებლით 120,000 ადამიანია, ხოლო გომისმთაში2017 წლის მაჩვენებლით 8,000 ადამიანი.

კურორტ შეკვეთილში 2016 წელს დასრულდა საკონცერტო დარბაზის **„BlackSea arena"-ს** მშენებლობა, სადაც ყოველწლიურად გრანდიოზული კონცერტები იმართება და ასობით ათასი ადამიანი ესწრება.

შეკვეთილში 14.5 ჰა-ზე გაშენებულია ატრაქციონების პარკი, სადაც შესაძლებელია აქტიური გართობა და დასვენება, აქვეა "მინიატურების პარკი" და "მუსიკოსების პარკი".

მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალებად ასევე შესაძლებელია მივიჩნიოთ საცხენოსნო, საფეხმავლო და სატრანსპორტო მარშრუტების დაგეგმვა ისტორიულ ძეგლების და მაღალმთიანი ადგილების დასათვალიერებლად.

მუნიციპალიტეტს მნიშვნელოვანი რესურსი აქვს ბალნეოლოგიური კურორტის განვითარებისათვის. კურორტი ნასაკირალი 1930-იან წლებში იწყებს ფუნქციონირებას, სადაც 4000-მდე დამსვენებელი იღებდა მომსახურებას წყლის აბაზანების და სამკურნალო სასმელი წყლის გამოყენებით. 2018 წელს მუნიციპალიტეტის დაკვეთით ჩატარდა წყლის ჰიდრო-გეოლოგიური კვლევა, მომზადდა წყლის ანალიზი. 2018 წელს მოეწყო პირველი საინვესტიციო ფორუმი, სადაც მოხდა ნასაკირალის კურორტის რეაბილიტაციის საინვესტიციო პროექტის წარდგენა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიული სიახლოვე ბათუმის და ფოთის პორტებთან და ბათუმის და ქუთაისის აეროპორტებთან მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების კარგ გარემოს ქმნის. სტატისტიკური მონაცემებით მხოლოდ ბათუმის და ქუთაისის აერორტებიდან ქვეყანაში შემოსული ვიზიტორების 20% მოდის.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არის 9 ისტორული ძეგლი, აქედან 2 ციხე, რომელიც ტურისტულად საინტერესოა. ასევე აღსანიშნავია ფოლკლორი (გურული კრიმანჭული), რომელიც ძალიან დიდ ინტერესს იწვევს სხვადასხვა მსმენელისთვის.

აუცილებელია ადგილობრივი მოსახლეობის წახალისება ნაციონალური სუვენირების საწარმოებლად: თექა, ხელნაკეთი ნივთები. პროდუქციის წარმატებული რეალიზაციის მიზნით საჭიროა მათი მონაწილეობა ფესტივალებსა და გამოფენებზე, ახალი კონტაქტების დამყარება ტურისტული მომსახურების გამწევ ორგანიზაციებთან (სასტუმრო, კვების ობიექტები, ტურისული კომპანიები), კონკურენტუნარიანი ბიზნესგეგმების მომზადება და სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ პროგრამებში მონაწილეობა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია აგრარული სექტორის განვითარება. 90-იან წლებში გურიაში მასობრივად დაიწყო თხილის კულტურის გავრცელება. თხილის ნაყოფის რეალიზაცია ერთ-ერთი ძირითადი შემოსავლის წყაროა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში ინვესტირებული კაპიტალის დიდი ნაწილი სწორედ თხილის წარმოებასა და შესაბამის გადამამუშავებელ საწარმოებზე მოდის. გაზრდილი მავნებელ-დაავადებების მაჩვენებლების გამო მოსავლიანობის და თხილის ნაყოფის ხარისხის გაზრდის მიზნით საჭიროა: მწარმოებელთა ცოდნის დონის ამაღლება თანამედროვე მოვლა-მოყვანის სტანდარტებთან დაკავშირებით, საჭიროა ფერმერთა თანამშრომლობის გაღრმავება ანასეულის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებთან.მუნიციპალიტეტში 16 ერთეული მცირე და საშუალო ზომის თხილის გადამამუშავებელი საწარმო მოქმედებს. მათ უმრავლესობას არ გააჩნია სერთიფიკატი, რაც ხელს უშლის გახდნენ ექსპორტიორები.

მუნიციპალიტეტში **ჩაის წარმოება** კვლავ სტრატეგიულ დარგად იქცა. ოზურგეთიდან დაიწყო ქართული ჩაის განვითარება საქართველოში, 1847 წელს ჩინეთიდან ჩამოტანილი პირველი ნერგი დაირგო ანასეულის საკოლექციო ნაკვეთში. დღეისათვის, მუნიციპალიტეტში მოქმედებს 20-მდე მცირე და საშუალო ჩაის გადამამუშავებელი საწარმო, ადგილზე იწარმოება შავი, მწვანე, თეთრი და წითელი ჩაის პროდუქცია. ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე პოპულარობით სარგებლობს ადგილობრივი ბრენდის პროდუქცია: "გურიელი", "შემოქმედი", "ანასეული", "Natura Tea Company". ოღონდ, გამოშვებული პროდუქციის მოცულობა მცირეა საერთაშორისო ბაზარზე გასასვლელად.

ბოლო წლებში**ციტრუსის რეალიზაცია** გარანტირებული გახდა. ოზურგეთის კლიმატური და ნიადაგობრივი პირობები კარგ გარემოს ქმნის ადრემსხმოიარე და მაღალმოსავლიანი ციტრუსის ჯიშების გავრცელებისათვის. თანამედროვე საბაზრო მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით საჭიროა ყოველწლიური აგროტექნიკური და აგროქიმიური ღონისძიებების გატარება ციტრუსის ბაღებში, რაც უზრუნველყოფს ნაყოფის ხარისხის და მოსავლიანობის ზრდას.ოზურგეთში მოქმედებს 3 ციტრუსის მიმღები საწარმო, სადაც ხდება ციტრუსის დახარისხება-შეფუთვა და რეალიზაცია. მოქმედებს 3 ერთეული ხილის შესანახი სამაცივრე საწარმო.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები განსაკუთრებულ შესაძლებლობებს ქმნის **კენკროვანი კულტურების**(მოცვი, ჟოლო, მაყვალი, მარწყვი, კივი) განვითარებისათვის. ოზურგეთში არ მოქმედებს სანერგე მეურნეობა, სადაც დაინტერესებულ პირს საშუალება ექნება შეიძინოს მარალი ხარისხის სარგავი მასალა და მიიღოს კვალიფიციური კონსულტაციები.

ერთწლიანი მარცვლეული კულტურებიდან მუნიციპალიტეტში წამყვანი ადგილი უჭირავს სიმინდს(აჯამეთის თეთრი). 2018 წელსმნიშვნელოვნად შემცირდა მარცვლეულის თესვის მაჩვენებელი და 5544 ჰა-დან მხოლოდ 1272 ჰა-ზე დაითესა. ნათესი ფართობების შემცირების ძირითადი მიზეზია წარმოების დაბალი მარჟა, რასაც განაპირობებს: თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაბალი ინფორმირებულობა, შრომის დაბალი ორგანიზებულობა, მოძველებული და ამორტიზებული გენეტიკური მასალა, ფინანსების არასათანადო ხელმისაწვდომობა, ექსტენციისა და მომსახურების ცენტრების სიმცირე, სავარგულების დეგრადაცია და ამორტიზება, ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა.

ბუნებრივი პირობები **მეფუტკრეობის** მნიშვნელოვნად გაფართოების შესაძლებლობას იძლევა. ამჟამად, ოზურგეთში არის 10373 ოჯახი ფუტკარი. თაფლის წარმოება შეადგენს 112.25 ტონას. წარმოებული თაფლის დიდი ნაწილი ადგილობრივ ბაზარზე მოიხმარება, მხოლოდ მცირე რაოდენობა გადის ექსპორტზე. ქართული ფუტკარი აღიარებულია მსოფლიოში და მიღებული თაფლის პროდუქცია არის ნატურალური. თაფლ;ს, ისევე როგორც ღვინოს, ჩაის სჭირდება პოპულარიზაცია გამოფენებსა და ფესტივალებზე მონაწილეობის გზით.

მესაქონლეობაში როგორც წველადობის, ისე ხორცის წარმოების დაბალ დონეს ძირითადად განაპირობებს გენეტიკური მოძველება, არასათანადო ვეტერინალური მომსახურება, ტექნოლოგიებზე დაბალი ინფორმირებულობა, საკვები ბაზის რაოდენობრივი და ხარისხობრივი სიმწირე. თანდათანობით იკიდებს ფეხს ხელოვნური განაყოფიერების გამოყენება, რაც ფერმერებს საშუალებას მისცემს მნიშვნელოვნად გაზარდონ მესაქონლეობის პროდუქტიულობა.

სამრეწველო მიმართულებით მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა 2016-2017 წლებში, ოზურგეთში დაარსდა ტექსტილის ფაბრიკა, სადაც 120 თანამშრომელი მუშაობს და ბენტონიტური თიხის გადამამუშავებელი საწარმო, სადაც დასაქმებულია 110 ადამიანი. აქ წარმოებული პროდუქციის 100% საექსპორტო დანიშნულებისაა.გარდა დასაქმებისა, აღნიშნული წარმოებების არსებობა მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისათვის, რადგან იქმნება ბრენდირებული საექსპორტო პროდუქცია და ასევე საწარმოები ქმნის მნიშვნელოვან იმიჯს ახალი ინვესტორებისათვის.

მექანიზაციის რეგიონული სერვისცენტრი, სადაც განთავსებულია თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა: 40 ერთეული სხვადასხვა ტიპის ტრაქტორი და კომბაინი, მისაბმელები, პნევმატური სათესები, შესაწამლი და ნიადაგის დასამუშავებელი აგრეგატები. აღნიშნული ტექნიკის გამოყენება ფერმერებს მემცენარეობის პროდუქტიულობის გაზრდის შესაძლებლობას აძლევს. რეგიონი მცირეგაბარიტიანი ტექნიკის დეფიციტს განიცდის. გარდა ამისა, აქტუალურია ტექნიკის მომსახურეობის ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემაც - მოსახლეობა ხშირად ვერ ახერხებს მაღალხარისხიანი მომსახურების საფასურის გადახდას და კოსიგნაციის წესით თანამშრომლობს სოფლად არსებული ტექნიკის მეპატრონეებთან.

6.2.ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური ურთიერთობები

ბიზნესის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობითი ქსელური ურთიერთობები განვითარების საწყის ეტაპზეა. ძირითადი თანამშრომლობითი ურთიერთობები ყალიბდება ურთიერთსაჭიროებების არსებობის შედეგად. მათ შორის უნდა გამოვყოთ რამდენიმე მიმართულება:

ჩაის მწარმოებელი რამდენიმემცირე საწარმო გეგმავს გაერთიანებას, რათა შექმნან ერთობლივი ბრენდი ბაზარზე საკუთარი ადგილის დაკავების მიზნით.მენეჯერებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება ერთგვაროვანი ჩაის პროდუქციის წარმოებისათვის, მომხმარებელთა მხრიდან გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგეგმილია ერთობლივი მარკეტინგული საქმიანობა.

სახელმწიფო პროგრამების და დონორო ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერის შედეგად ოზურგეთში ჩამოყალიბდა 22 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, სადაც გაერთიანებულია 130-მდე ფერმერი. არსებული პროგრამების დახმარებით გაერთიანებებმა შეძლეს არა მხოლოდ საწარმოო გადაიარაღება, ასევე ხდება ტექნიკური დახმარებები, რომელიც ითვალისწინებს კოოპერატივის წევრთა გადამზადებას შემდეგ საკითხებში: ბიზნესის დაგეგმარება, ლიდერობა, პროექტების წერა.

სახელმწიფო პროგრამა "მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა", რომელიც ხორციელდება 2015 წლიდან, ხელი შეუწყო ამხანაგობების ჩამოყალიბებას, სადაც 2-3 ფიზიკური პირი გაერთიანდა საერთო ბიზნესის წარმოების მიზნით: საკონდიტრო წარმოება, სამკერვალო საქმიანობა, ჩაის წარმოება, მეფინველეობა და სხვა მიმართულებები. მუნიციპალიტეტის სპეციალისტების მიერ ხდება ბენეფიციართა კონსულტაციები ბიზნესგეგმის მომზადების საკითხებზე.

მნიშვნელოვანია ტურიზმის სფეროში ქსელური ურთიერთობების ჩამოყალიბება. 2019 წლიდან მუნიციპალიტეტმადაიწყო ახალი ტურისტულიპროექტი**"ჩაის გზა".** ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად პროექტში ჩართულია ადგილობრივი სასტუმრო ბიზნესის, ტურისტული კომპანიების, მცირე საოჯახო საწარმოების წარმომადგნელები. გაერთიანების სტრატეგიაა: მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობებით დაინტერესებული პირებისათვის ტურისტული მომსახურების შეთავაზება და შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა და შემოსავლის ზრდა.

მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ბოლო წლებში გააქტიურდა თანამშრომლობა ბიზნესისწარმომადგენლებთან. 2018 წელს მოეწყო პირველი "ქალ მეწარმეთა ეკონომიკური ფორუმი", სადაც მონაწილეობა მიიღო ოზურგეთში მოქმედმა 50-მდე ქალმა მეწარმემ ბიზნესის სხვადასხვა სექტორიდან. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა თხილის დარგში არსებული მდგომარეობის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი, სადაც მონაწილეობს ბიზნესის, ფერმერების, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები.

2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა ოზურგეთის მერიის მხრიდან, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესის წარმომადგენლებთან თანამშრომლობის გააქტიურებას: კონფერენციების მოწყობა სუბტროპიკული და კენკროვანი კულტურების წარმოების საკითხებზე; ტურისტული გიდების გადამზადების მუნიციპალური პროგრამა; ცოდნის დონის ამაღლების მიზნით თხილის სადემონტრაციო ნაკვეთების მოწყობა; მუნიციპალური ტურისტული პროექტის "ჩაის გზა" პოპულარიზაქციის მიზნით ქართული ჩაის ფესტივალის ჩატარება ოზურგეთში.მუნიციპალიტეტის და რეგიონის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ანასეულის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, საჭიროა მათთან თანამშრომლობის გააქტიურება კერძო სექტორის მხრიდან;მიუხედავად იმისა, რომ პროფესიულ კოლეჯს აქვს ტექსტილის საწარმოსთან თანამშრომლობის კარგი გამოცდილება, საჭიროა სასწავლო დაწესებულებასა და ბიზნესს შორის კომუნიკაციის გააქტიურება.

საზოგადოებასთან მაქსიმალური კოორდინაციის მიზნით 2018 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით შეიქმნა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, რომლის წევრია ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების, ბიზნესის და საზოგადოების წარმომადგენლები. 2018 წელს ოზურგეთის მერია გახდა საერთაშიორისო ორგანიზაცია **ALDA**(ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია) წევრი, პარტნიორობა ითვალისწინებს საზოგადოების, მათ შორის ბიზნეს წრეების, მონაწილეობითი დაგეგმვის პრინციპების დანერგვას, ევროპული გამოცდილებების გაზიარებას.

6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაცია:

მუნიციპალიტეტის მერიაში დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა მოქმედებს. მისი დახმარებით ორგანიზაციებს თანამშრომლებთან, მოქალაქეებთან და სხვა უწყებებთან კომუნიკაცია მნიშვნელოვნად გაუმარტივდათ - ქაღალდის დოკუმენტები მთლიანად ელექტრონულით ჩანაცვლდა, შემცირდა მოქალაქეთა მომსახურების დრო, სერვისების მიწოდების პროცესი კი სრულყოფილი და ეფექტური გახდა, ამოქმედდა დოკუმენტების ელექტრონული არქივი და მოქალაქეთა განაცხადების შესრულებისა და კონტროლის მექანიზმები. ამასთანავე, პროგრამის ერთიანი ელექტრონული ბაზის დახმარებით, ორგანიზაციებს შორის დოკუმენტების მიმოცვლა სრულად ავტომატიზებული გახდა, რაც ამცირებს მათ ფინანსურ და დროით ხარჯებს, საქმიანობას კი კიდევ უფრო ეფექტურს ხდის. მოქმედებს მერიის ვეგ-გვერდი და მერიის დაქვემდებარებაში მყოფი საინფორმაციო სამსახური, რომლებიც ძირითადად ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით განხორციელებულ აქტივობებს აშუქებენ.

მუნიციპალიტეტის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს "ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური". სადაც გაერთიანებულია 5 განყოფილება: სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, შრომითი ბაზრის კვლევის, საინვესტიციო და ქონების მართვის.სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილება 2018 წლიდან ახდენს სტატისტიკური მონაცემების მომზადებას, ატარებს გასვლით საკონსულტაციო-საინფორმაციო შეხვედრებს ოზურგეთის სოფლებში, ქმნის სამუშაო ჯგუფებს და ახორციელებს სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოებს. ტურიზმის განყოფილება ბოლო 2 წელია ახდენს ახალი ტურისტული პროგრამების შემუშავებას და პრაქტიკაში განხორციელებას სხვადასხვა სექტორის ჩართულობით; ქონების მართვის განყოფილება 2018 წელს გადავიდა ელექტრონული აუქციონის ფორმაზე, რაც ხელს უწყობს ინფორაციის საჯაროობას და საქმიანობის გამჭვირვალობას. მოუგვარებელი რჩება მუნიციპალიტეტის ქონების აღრიცხვა-რეგისტრაციის საკითხები, ამიტომ 2019 წლიდან დაგეგმილია მომდევნო 3 წლის განმავლობაში მუნიციპალური ქონების აღრიცხვა და რეგისტრაცია.

ინფორმაცია მუნიციპალიტეტისადმინისტრაციისმიერგამოცხადებულიტენდერების შესახებგანთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსვებ-გვერდზედაყველადაინტერესებულპირსშეუძლიასაკუთარი სატენდეროწინადადების წარდგენა. სატენდერო კომისიის საქმიანობა გამჭვირვალეა და ყველა გადაწყვეტილება იტვირთება სააგენტოს ვებ გვერდზე. საზოგადოებრივი ჩართულობის და ინფორმირებულობის ზრდის მიზნით ინფორმაცია თავსდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ეკონომიკის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები. ბიუჯეტის მომზადების პროცესში ჩართული იყო შესაბამისი განყოფილებებისთანამშრომლები, მომზადდა პროგრამული ბიუჯეტის ფორმები. ბიუჯეტის განხილვა მოეწყო საკრებულოს შესაბამის კომისიებისა და ფრაქციის სხდომებზე.

6.4.ფინანსების ხელმისაწვდომობა:

მუნიციპალიტეტში არსებული ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისათვის ფინანსური რესურსების მოძიებისათვის გამოიყენება რამდენიმე ფინანსური ინსტიტუტის მომსახურება: სახელმწიფო ახორციელებს პროექტებს (სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, სააგენტო "აწარმოე საქართველოში), რომელიც წარმოება/მომსახურების სფეროებს აფინანსებს. კონკურსის შედეგებით დაბალია დამტკიცებული ბიზნესგეგმების რაოდენობა, რომლის ძირითადი მიზეზი მომზადებული ბიზნესგეგმების დაბალი ხარისხი. საჭიროა დაინტერესებული მეწარმეების სწავლება-კონსულტირება

ბიზნესგეგმის მომზადების საკითხებზე. მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სპეციალისტების მიერ ბენეფიციარებთან ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები, ეწევათ ელექტრონული განაცხადის მომზადებაში დახმარება. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში მოსახლეობისათვის მოუხერხებელია და საჭიროა მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა გადამზადება კომპიუტერულ ტექნოლოგიებში.

მუნიციპალიტეტისტერიტორიაზემოქმედებს ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომლებიც გასცემენ სესხებს მცირე ბიზნეს კომპანიებისა და აგროსექტორისთვის. რამდენიმე ბანკი ჩართულია სახელმწიფო პროგრამა "შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამაში", რომელიც საპროცენტო განაკვეთის 10%-ის თანადაფინანსებას ითვალისწინებს. ბიზნესის მხრიდან საკრედიტო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორია: მაღალი ლიკვიდურობის გირაოთი უზრუნველყოფის მოთხოვნა; სესხების გაცემა ხდება ძირითადად ძირითადი საშუალებების შესაძენადდა ნაკლებად საბრუნავი საშუალებებისათვის; მეწარმეებისათვის, რომლებიც ვერ ახერხებენ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობას, მაღალია საპროცენტო განაკვეთი; დამწყები მეწარმე ვერ ახერხებს სესხის აღებას, ამასთან მოითხოვება 6 თვიანი გარანტირებული შემოსავალი სხვა საქმიანობიდან. საჭიროა მეტი კომუნიკაცია საფინანსო სექტორსა და ბიზნესის წარმომადგენლებს შორის, საბანკო პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ამ პროცესების ინიციატორი უნდა გახდებს მუნიციპალიტეტი.

მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია ტრადიციული და ინოვაციური ბიზნესიდეების დაფინანსებისათვის ხელშეწყობი პროგრამების არსებობა. ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა უნდა განხორციელდეს სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების პროგრამების დახმარებით შემდეგ სფეროებში: ადგილობრივი ხილის გადამუშავების ხელშეწყობა, მ.შ. მშრალი ხილის წარმოება, ფელამუშის წარმოება; გარემოსდაცვითი ბიზნეს პროექტები მ.შ. ერთჯერადი ბიო მასალების წარმოება; ჩაის, ხილის წარმოება-გადამუშავების ინოვაციური პროდუქტების წარმოება; თაფლის ბრენდინგი და წარმოების ხელშეწყობა; სასაჩუქრე და ხელნაკეთი სუვენირების წარმოება.

6.5.მიწა და ინფრასტრუქტურა:

2018 წლის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობია 27,589 ჰა, აქედან კერძო საკუთრებას შეადგენს 20,467 ჰა, მუნიციპალიტეტის და სახელმწიფო საკუთრებაშია 7122 ჰა ფართობი. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შემდეგნაირადა არის განაწილებული: ციტრუსი 2569 ჰა, თხილი 9891 ჰა, ჩაი 1308 ჰა, კენკროვნები 181 ჰა, კივი 204 ჰა,მუნიციპალიტეტის ნიადაგობრივი და კლიმატური გარემო განსაკუთრებით კარგ პირობებს ქმნის ჩაის, ციტრუსის, სიმინდის, ბოსტნეულის, ხილის, სუბტროპიკული ეთერზეთოვანი კულტურების, ბაღჩეულისა და მრავალწლიანი ბალახების წარმოებისთვის.

მუნიციპალიტეტში ხორციელდება სახელმწიფო პროგრამები: დანერგე მომავალი,აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა, ახალგაზრდა მეწარმე, სადაც დამწყები/მოქმედი მეწარმეებისათვის საჭიროა სასოფლო-სამეურნეო მიწების და საწარმოო შენობა ნაგებობების არსებობა.როგორც ქალაქის, ასევე სოფლის ტერიტორიაზე იზრდება მოთხოვნა უძრავ ქონებაზე დამწყები და მოქმედი მეწარმეების მხრიდან, რათა გახდნენ მესაკუთრეები/მოიჯარეები. მუნიციპალიტეტი ახდენს საკუთრებაში არსებული ქონების, მიწა, შენობა-ნაგებობა პრივატიზაციას და სარგებლობაში გაცემას ელექტრონული აუქციონის წესით. დაინტერესებული მხარის მიერ განაცხადის წარმოდგენიდან 3 თვეა საჭირო აუქციონზე გასატანად, რაც ხშირ შემთხვევაში დიდი დროა პროექტების ბენეფიციარებისათვის.

სრულად არ არის აღწერილი მუნიციპალიტეტის ქონება და არ არის დარეგისტრირებული, მერიას დაგეგმილი აქვს 2019-2021 წლებში სრულად აღწეროს მუნიციპალური ქონება, მოახდინოს მისი შეფასება და რეგისტრაცია. ყოველწლიურად მუნიციპალიტეტის მიერ ელექტრონული

აუქციონისშედეგად ხდება მიწის და შენობა-ნაგებობის საკუთრებაში და სარგებლობაში გადაცემა. 2017 წელს საჯარო აუქციონის შედეგად საკუთრებაში გაიცა 167 ობიექტი, სარგებლობის უფლებით 13ობიექტი;

მუნიციპალიტეტის მერიაში მრავლად მოდის დაინტერესებული პირები, რომლებსაც სურვილი აქვთ შეიძინონ, ან იჯარით აიღონ მუნიციპალურ, სახელმწიფო ან კერძო საკუთრებაში არსებული ქონება, არ არსებობს საინფორმაციო ცენტრი, სადაც შესაძლებლობა ექნება დაინტერესებულ პირებს შეარჩიონ მათთვის მისაღები დასაჭირო უძრავი ქონება.

ქონების მართვის სააგენტო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით ითხოვს მუნიციპალიტეტის მოსაზრებას. ამ პროცესში ჩართულია სოფლის/ქალაქის მერის წარმომადგენლები და დეპუტატები, რომელთა შეფასების გათვალისწინებით ხდება თანხმობის გაცემა;

ქალაქის ტერიტორიაზე ძირითადი უძრავი ქონება კერძო პირების საკუთრებაშია, სადაც ადგილის იჯარა 1 თვით საშუალოდ 400-500 ლარს შეადგენს და ბევრი დამწყები მეწარმისათვის შეუძლებელია მისი გადახდა. სტატისტიკის გათვალისწინებით ყოველწლიურად მიკრო კომპანიების რეგისტრაციის რაოდენობაიზრდება10 %-ით, მომდევნო 6 წლის განმავლობაში მოთხოვნა 5000კვ.მ სამუშაო სივრცეზე გახდება;

სასოფლო-სამეურნეო მიწა წარმოადგენს ძირითად საჭიროებას, რათა მოხდეს ოჯახის შემოსავლების ზრდა და სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების განხორციელება. გაზრდილი სახელმწიფო პროგრამების პირობებში მომდევნო 6 წლის განმავლობაში საჭირო იქნება 800 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწა;

მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტს მომდევნო 6 წელში უნდა წარმოადგენდეს ბიზნესინკუბატორის ჩამოყალიბება 10-ზე >სტარტაპი მიკროკომპანიებისათვის;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი და სასწავლო ცენტრი. კერძო სექტორს აქვს საშუალება მიიღოს მნიშვნელოვანი გამოცდილება მცენარეთად დაცვის, აგროტექნიკური და აგროქიმიური ღონისძიებებიების, ახალი გადამამუშავებელი ტექნოლოგიების შესახებ.

6.6.მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო:

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის "თანამონაწილეობითი CHARRETTE გურიის ტურიზმის განვითარებისსტრატეგიისათვის" ფარგლებში მომზადდა გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგია. ასევე 2019 წლიდან დაიწყო მუნიციპალური პროგრამები სოფლის მეურნეობის განვითარების, დასაქმების ხელშეწყობის, ტურიზმის განვითარების მიზნით. მუნიციპალიტეტს, რამდენიმე განვითარების დოკუმენტი აქვს მიღებული, რომლებზეც შესაბამის თავში იყო საუბარი. აუცილებელია, უახლოეს პერიოდში მოხდეს დოკუმენტის მიღება, რომელიც მოახდეს მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული დოკუმენტების ჰარმონიზაციას და გაუმარტივებს ბიზნესს ორიენტაციას ამ დოკუმენტების მიზნებსა და დაგეგმილ ქმედებებში.

მოუწერიგებელია წიაღისეულის (ინერტული მასალა - ქვიშა, ხრეში) მოპოვებისათვის ლიცენზიის გაცემის წესები, რადგან ხშირ შემთხვევაში ადგილზე არსებული მდგომარეობის შესწავლის გარეშე ხდება ლიცენზიის გაცემა, ხშირად ლიცენზიანტი გამოყოფილ ფართობზე ვერ ამოიღებს იმ რაოდენობით ქვა-ღორღს რაც ლიცენზიაშია გათვალისწინებული და ახდენს მდინარეში შესვლას და დაურეგისტრირებელ ადგილზე მოპოვებას. შედეგად საფრთხე ექმნებაინფრასტრუქტურას, სასმელი წყლის დონეს ჭაში, რაც მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას იწვევს;

6.7.უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა:

ადგილობრივი ბიზნესის საჭიროებების კვლევის თანახმად აღმოჩნდა, რომ: ბიზნესის უმრავლესობას თანამშრომელი აჰყავს სანათესაო/სამეგობრო წრიდან და უმრავლესობა ჯერდება თანამშრომლის ზოგად კვალიფიკაციას; იშვიათ შემთხვევაში თანამშრომელ უტარდება კვალიფიკაციის ამაღლების კურსები; არსებული საწარმოების უმრავლესობას აქვს კვალიფიციური კადრის საჭიროება.

ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით უახლოეს წლებში მოთხოვნადი პროფესიები იქნება: უცხოენოვანი გიდი, სასტუმროს მენეჯერი, კვალიფიციური მზარეულები, კვალიფიციური აგრონომი და ვეტერინარი, კვების მრეწველობის ტექნოლოგი, ინჟინერი. ახალგარდა პროფესიონალი კადრები უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ ნაკლებად ბრუნდება ოზურგეთში და მუშაობას იწყებს ან დიდ ქალაქებში ან უცხოეთში.

ოზურგეთში მოქმედებს პროფესიული კოლეჯი "ჰორიზონტი", კოლეჯი ყოველწლიურად აცხადებს მიღებას 3 ძირითად მიმართულებაზე (სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, მომსახურების სფერო) 15 საგანმანათლებლო პროგრამაზე. კურსდამთავრებულების კვალიფიკაციის ზრდის მიზნით საჭიროა დამსაქმებელზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების შემუშავება. საჭიროა მუნიციპალიტეტში მოეწყოს დასაქმებაზე ორიენტირებული შეხვედრები სასწავლო დაწესებულებასა და დამსაქმებლებს შორის.

ოზურგეთის ტექსტილის საწარმოში მოხდა კოლეჯის სტუდენტების დასაქმება. საჭიროა უფრო მეტი მჭიდრო თანამშრომლობა სახელმწიფო, კერძო და სასწავლო დაწესებულებებს შორის პრიორიტეტების შერჩევისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

6.8.გარეპოზიციონირება და მარკეტინგი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილმდებარეიობა განსაკუთრებულ გარემოს ქმნის სამრეწველო და ტურისტული ბიზნესის განვითარებისათვის. საათნახევრის განმავლობაში შესაძლებელია სამკურნალო მაგნიტური ქვიშებით ცნობილი საზღვაო კურორტებიდან (ურეკი, შეკვეთილი) აღმოჩნდე 2200 მეტრი ზღვის დონიდან სამთო კურორტზე (გომისმთა).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 1847 წელს დაირგო პირველი ჩაის ნერგი საქართველოში, 170 წლიანი ისტორია გახდა საფუძველი ახალი მუნიციპალური ტურისტული პროდუქტის "ჩაის გზა" მომზადებისთვის. ოზურგეთში ჩამოსულ ტურისტებს საშუალება აქვთ მოისმონონ ქართული ჩაის თითქმის 2 საუკუნოვანი ისტორია, მონაწილეობა მიიღონ ჩაის კრეფის და გადამუშავების პროცესში, ადგილზე დააგემოვნონ ნატურალური ქართული ჩაის პროდუქცია. 2019 წელს ოზურგეთში პირველად ჩატარდა ქართული ჩაის ფესტივალი, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოყვა და რომელიც მომავალში გაიმართება ყოველწლიურად. მუნიციპალური პროექტი "ჩაის გზა" ახალი შესაძლებლობა გახდა ადგილობრივი წარმოების პოპულარიზაციისათვის და ტურისტების მოზიდვისათვის.

გურია და მათ შორის ოზურგეთი ძველთაგანვე ცნობილი იყო მრავალფეროვანი და უნიკალური ვაზის ჯიშებით. აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა, გასული საუკუნის 30-იან წლებში, საქართველოში აღწერა 420 ვაზის ჯიში (დღეისთვის აღწერილია 500-ზე მეტი), აქედან 59 გურიაში. ადგილობრივი მოტივირებული ადამიანების მიერ დაიწყო ადგილობრივი საღვინე და სუფრის ენდემური ჯიშის ვანახის გაშენება: ჩხავერი, სხილათუბანი, მტევანდიდი, ალადასტური, ჯანი, საკმიელა, თეთრი კამური, კლარჯული. ოზურგეთში მოეწყო პირველი ღვინის მარანი.ადგილობრივი ღვინის მწარმოებლები მონაწილეობას ღებულობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონეში გამართულ ფესტივალებსა და გამოფენებში, მიღებული აქვთ ჯილდო და პრიზები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლადაა რესურსები, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტების განხორციელება: ბალნეოლოგიური კურორტი "ნასაკირალი", საფეხმავლო ტურიზმი, გარემო კლიმატური და ნიადაგობრივი პირობები სუბტროპიკული კულტურების გაშენებისათვის, წყლის რესუსრები სათევზე მეურნეობის განვითარებისათვის. მუნიციპალიტეტი ამზადებს საინვესტიციო პროექტებს დაინტერესებული პირებისათვის. სასურველია, პოტენციური ინვესტორებისათვის მოეწყოს საინვესტიციო ფორუმი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ჰყავს სხვადასხვა ქვეყნის დაძმობილებული მუნიციპალიტეტები (უკრაინა, პოლონეთი, ლიტვა), მათგან უკრაინის გენიჩესკის რაიონთან მეგობრობის 80 წლიანი ისტორია არსებობს. დაგეგმილია გაცვლითი პროგრამების ორგანიზება გამოცდილების გაზიარების და ახალი ეკონომიკური ურთიერთოების ჩამოყალიბების მიზნით.

7. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
1. სუფთა ეკოლოგიური გარემო და პროდუქცია; 2. მაღალი პოტენციალის მქონე ზღვის და მთის კურორტების არსებობა და მათი ერთმანეთთან სიახლოვე: 3. სიახლოვეფოთისადაბათუმისპორტებთან,ბათუმისადა ქუთაისის აეროპორტებთან; 4. ტურიზმის სექტორის განვითარების დადებითი დინამიკა; 5. ხელსაყრელი კლიმატური პირობებისოფლის მეურნეობის განვითარებისათვის; 6. სამეცნიეროტრადიციებიაგრარულსფეროში; ანასეულის სამეცნიერო და სასწავლო პროფესიული ცენტრების არსებობა; 7. ჩაის წარმოების 170 წლიანი გამოცდილება; 8. გაზრდილი ინვესტიციების მოცულობა სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და ტურიზმის მიმართულებით; 9. მუნიციპალიტეტის მეგობარი ქალაქების არსებობა ევროპის ქვეყანაში; 10. მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა; 11. ძლიერი საზოგადოებრივი სექტორი;	1. სოფლისმეურნეობისმოდერნიზაციისდაბალიდონე; 2. ტურისტულიინფრასტრუქტურისარადამაკმაყოფილებე ლიმდგომარეობა; 3. შრომითი რესურსების პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის დაბალი დონე, მათი გადამზადების მოქნილი სისტემის არ არსებობა; 4. მუნიციპალიტეტიდან შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაცია; 5. ახალი ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი ინტენსივობა, მოწინავე ტექნოლოგიების შესახებ მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულება; 6. ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა; 7. მუნიციპალიტეტის საიმიჯო აქტივობების ნაკლებობა; 8. სამეწარმეო განათლების დაბალი დონე, მ.შ. ტურიზმის სფეროში; 9. მუნიციპალური სერვისების ხარისხის გაუმჯობესების საჭირობა;
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
1. საერთაშორისო, რეგიონულდაადგილობრივბაზრებზეეკოლოგიურადსუფ თაპროდუქტზემოთხოვნისზრდა; 2. ტურისტული ნაკადის ზრდა, მ.შ. სასოფლო ტურიზმის მიმართულებით; 3. წარმოებული პროდუქციისთვის ახალი გასაღების ბაზრების გახსნა;	1. გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი; 2. რეგიონული და მუნიციპალური განვითარების სტრატეგიების სუსტი იმპლემენტაცია; 3. ბუნებრივი კატაკლიზმების რისკი და მცენარეთა დაავადებების გავრცელება; 4. დაბალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო მასალების გავრცელების საფრთხე;

4. საბანკო კრედიტებზე და კაპიტალის ალტერნატიულ ბაზრებზე ხელმისაწვდომობის ზრდა 5. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარების ზრდა; 6. ინვესტორების მზარდი ინტერესი მუნიციპალიტეტის ტყის და წყლის რესურსების და წიაღისეულის მიმართ; 7. მცირე ბიზნესის და აგრო სესხების გაიაფებაზე ორიენტირებული სპეციალური სახელმწიფო პროგრამები 8. ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვაზე მიმართული სპეციალური სახ. და დონორი პროგრამები; 9. სოფლის მეურნეობის სფეროში სადაზღვევო სისტემების ხელმისაწვდომობის ზრდა;	

SWOTანალიზის მომზადება საშუალებას აძლევს ოზურგეთის მუნიციპალიტეტს მოამზადოს ეფექტური ეკონომიკური განვითარების გეგმა, რომლის მიზანია: განვითარებული აგრარული სექტორი და გაზრდილი ვიზიტორების რაოდენობა.

ადგილობრივი ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებაა სხვადასხვა სექტორის აქტიური თანამშრომლობა: სახელმწიფო და მუნიციპალური სექტორი, კერძო და საფინანსო სექტორი, საზოგადოებრივი და სამეცნიერო სექტორი. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმის მომზადება სწორედ ასეთი თანამშრომლობის შედეგად მიიღწევა.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ მიმართულებას ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და გადამამუშავებელი მრეწველობა წარმოადგენს. ტერიტორიული სიახლოვე ბათუმის და ფოთის პორტებთან და ბათუმის და ქუთაისის აეროპორტებთან, ზღვის და მთის კურორტის ტერიტორიული სიხლოვე და ტურიზმის განვითარების დადებითი ტენდენციები, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მრავალფეროვნება და ეკოლოგიური გარემო ამ დარგების განვითარების საუკეთესო პირობებს ქმნის.

ანალიზის მომზადების პროცესში გამოვლინდა მოკლევადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის საჭიროებები, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას. მათ შორის მნიშვნელოვანია:

- ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
- ადგილობრივი წარმოების/მომსახურების პოპულარიზაცია;
- მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა ცოდნის დონის ამაღლება;
- ადგილობრივი წარმოების ფინანსურ რესურსებთან ხელმისაწვდომობის ზრდა;

8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხედვა და მიზნები

სტრატეგიული ხედვა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, რეგიონში ცნობილია ეკოლოგიური სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით, ტურისტული შესაძლებლობებით. ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემო ოჯახებისთვის ქმნის მაღალი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას.

ძირითადი მიზნები:

1) ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა;
2)მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების ზრდა;
3)ადგილობრივი ადამიანური რესურსებისუნარ-ჩვევების განვითარება;

9. სამოქმედო გეგმა

LED სამოქმედო გეგმა მომზადდა პარტნიორების და დაინტერესებული პირების აქტიური მონაწილეობით, სამოქმედო გეგმა მოიცავს სოფლის მეურნეობის, ტურისზმის და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის დაგეგმილი მიზნის მიღწევას.

ცხრილი 2: სამოქმედო გეგმა

თემატური ბლოკები	ძირითადი მიზნები	ქმედებები/ პროექტის იდეები	ხანგრძლივობა (დაწყება/ დამთავრება)	მონაწილე პარტნიორები	სავარაუდო ღირებულება (ეროვნულ ვალუტაში &ევროს ეკვივალენტი	მყისიერი შედეგი (პროდუქტი) ინდიკატორები და მიზნები	საბოლოო შედეგი/ ინდიკატორები და მიზნები
1.მიწა და ინფრასტრუქტურა; 2. უნარებიდ აადამიანურიკაპიტალი; 3. გარეპოზიციონირებ ადამარკეტინგი: 4. ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა	ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა	1.1. ყოველწლიური ქართული ჩაის ფესტივალის ორგანიზება	02.2020-08.2021	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი; დონორი ორგანიზაციები; კერძო სექტორი	30,000 ლ (10000 ევრო)	**Output:** 1) 2 ფესტივალის ჩატარდა; 2) 40-მდე ჩაის მწარმოებელი მონაწილეობს ფესტივალზე საქართველოს სხვადასხვა რეგინებიდან; 3) 30-მდე თაფლის, ხილის, მშრალი ხილის, ღვინის, თევზის ადგილობრივი მწარმოებელი მონაწილეობს ფესტივალზე; **Monitoring Indicator:** 1) მონაწილე ბიზნესების რაოდენობა დარგების მიხედვით; 2) დამთვალიერებლების რაოდენობა;	**Outcome:** 1) გაზრდილია ადგილობრივი მწარმოებელების შემოსავალი; 2) გაზრდილია ადგილობრივი წარმოების პოპულარიზაცია; **Outcome indicators:** 1) მწარმოებლების შემოსავლების ზრდა;
		1.2. სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა	01.2020 – 08.2021	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი;	15,000 ლ. (5,000 ევრო)	**Output:** 1) ტერიტორიულ ერთეულებში მოეწყო მემცენარეობის (თხილი, ციტრუსი, კენკრა, კივი, ჩაი) სადემონსტრაციო ნაკვეთი; 2) დაინტერესებული პირები იღებს ინფორმაციას მცენარეთა მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ;	**Outcome:** 1) გაზრდილია ადგილობრივი მწარმოებლების ცოდნა ხილის მოვლა-მოყვანის საკითხებზე; **Outcome indicators:** 1)მოსარგებლე ფერმერების რაოდენობა;

						Monitoring Indicator: 1) სადემონსტრაციო ნაკვეთების რაოდენობა; **2)** დაინტერესებული პირების რაოდენობა;	
		1.3. ადგილ ობრივი მწარმოებლების მარკეტინგულ საქმიანობების მხარდაჭერა და სტიმულირება	02.2020-08.2021	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი; კერძო სექტორი	21000 ლარი (7000 ევრო)	**Output:** 1) 40-მდე ადგილობრივი მწარმოებელი მონაწილეობას ღებულობს თბილისსა და რეგიონებში ჩატარებულ გამოფენებში; 2) წარმატებული ფერმერის/მეწარმის შესახებ მომზადებულია და გავრცელებულია საიმიჯო ვიდეორგოლი; 3) გამოვლენილია წლის საუკეთესო ფერმერი/მეწარმე; 4) მომზადებულია საინვესტიციო კატალოგი; **Monitoring Indicator:** 1) გამოფენებსა და კონფერენციებში მონაწილეთა რაოდენობა და სია; 2) ვიდეორგოლის რაოდენობა; 3) კატალოგის ნიმუშები;	**Outcome:** 1) მწარმოებელთა პროდუქციის გაზრდილი გაყიდვები; 2) გაზრდილია ადგილობრივი პროდუქციის ცნობადობა ბაზარზე; 3) გაზრდილია მწარმოებლების სტიმული საქმიანობის გაფართოებისთვის; 4) გაზრდილია ადგილობრივი წარმოების ცნობადობა; 5) გაზრდილია პოტენციური ინვესტორების დაინტერესება; **Outcome indicators:** 1) მწარმოებელთა შემოსავლების ზრდა; 2) მოთხოვნის ზრდა ადგილობრივ პროდუქციაზე;
		1.4. ქალ მეწარმეთა ყოველწლიური ეკონომიკური ფორუმის ორგანიზება	09.2019-12.2019	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი;	4000 ლარი (1330 ევრო)	**Output:** 1) ყოველწლიურად ტარდება ქალ მეწარმეთა ეკონომიკური ფორუმი; 2) მონაწილეობას იღებს ადგილობრივი წარმატებული ქალი მეწარმეები; **Monitoring Indicators:** 1) მონაწილეთა რაოდენობა	**Outcome:** 1) ქალი მეწარმეები ეცნობა წარმატებულ მაგალითებს ბიზნესის სხვადასხვა სექტორიდან; 2) ქალი მეწარმეები იღებს ინფორმაციებს საგრანტო პროგრამების შესახებ; **Outcome Indicators:** 1) ქალი მეწარმეების მიერ განხორციელებული ახალი ბიზნესიდეები;
		1.5.	01.2020 –	დონორი	900,000 ლარი	**Output:** 1) განვითარებულია ადგილობრივი	**Outcome:** 1) გაზრდილია დასაქმებულთა

		ადგილობრივი მწარმოებლების ფინანსებზე ხელმისაწვდომობა	08.2021	ორგანიზაციები; სახელმწიფო პროგრამები;	(300,000 ევრო)	მცირე და საშუალო ბიზნესი შემდეგ სფეროებში: ტურისტული მომსახურება: საოჯახო სასტუმრო, ხელნაკეთი ნივთების წარმოება; აგრობიზნესი: ხილის, ჩაის, თაფლის წარმოება-გადამუშავება; სასათბურე მეურნეობები; სარეკლამო ბიზნესი; **Monitoring Indicators:** 1) ბიზნესების რაოდენობა; 2) ბიზნესების სია და მიღებული ფინანსური მხარდაჭერის ოდენობა;	რაოდენობა; 2) გაზრდილია ნედლეულის მიმწოდებელთა შემოსავლები; 3) გაზრდილია ბიზნესიდან მიღებული შემოსავალი; **Outcome Indicators:** 1) საწარმოთა რაოდენობა; 2) დასაქმებულთა რაოდენობა;
		1.6.სანერგე მეურნეობის მოწყობა	02.2020-08.2021	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი; დონორი ორგანიზაციები	300,000 ლარი (100,000 ევრო)	**Output:** 1) 2 ჰა ფართობზე მოწყობილია სანერგე მეურნეობა; 2) იწარმოება ციტრუსის, თხილის, კივის, კენკრას, ჩაის, ვაზის, ხილის ნერგები და ბოსტნეულის ჩითილი; 3) წლის განმავლობაში მიიღება 70-80 ათასი ნერგი; 4) ყოველწლიურად სანერგეს მომხმარებელია 1000-ზე მეტი ფერმერი; **Monitoring Indicators:** 1)სანერგეს მომხმარებლების რაოდენობა და სია; 2)წარმოებული ნერგების რაოდენობა და სახეობა;	**Outcome:** 1) თავისუფალი ფართობების გაშენებით გაზრდილია მოსახლეობის შემოსავალი; **Outcome indicators:** 1) წლების მიხედვით მოსახლეობის გაზრდილი შემოსავალი;
1. მიწა და ინფრასტრუქტურა; 2. უნარებიდ აადამიანურიკაპიტალი,	მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა	2.1. ქალაქში ტურისტული საგამოფენო სივრცის მოწყობა (ექსპო-გურია)	10.2019-08.2021	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი; ცენტრალური ბიუჯეტი; დონორი ორგანიზაციები	1,200,000 ლარი (400,000 ევრო)	**Output:** 1) 1000 კვ.მ ფართობზე მოწყობილია საგამოფენო-სავაჭრო სივრცე; 2) 200 კვ.მ ფართობის შენობაში ტარდება კონფერენციები, დეგუსტაციები, კონკურსები; 3) მოქმედებს ყოველდღიური ტურისტული საინფორმაციო ცენტრი; 4) მოქმედებს ყოველკვირეული	**Outcome:** 1) გაზრდილია ოზურგეთის ტურისტული პოტენციალის მიმართ დაინტერესებული ვიზიტორების რაოდენობა; 2) ადგილობრივი მწარმოებლები ახდენენ საკუთარი პროდუქციის რელიზაციას; 3) გაჩნდა ყოველწლიური

3. გარეპოზიციონირებ ადამარკეტინგი:						ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა; 5) ეწყობა ადგილობრივი კულტურული და ეკონომიკური ღონისძიებები; **Monitoring Indicators:** 1) მოწყობილი საგამოფენო-სავაჭრო სივრცე; 2) წლის განმავლობაში ჩატარებული ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებების რაოდენობა; 3) მოსული ვიზიტორების რაოდენობა;	საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობა; **Outcome Indicators:** 1) ვიზიტორების რაოდენობა; 2) მონაწილეების რაოდენობა; 3) გაყიდვების რაოდენობა;
		2.2. ანასეულის დენდროლოგიური პარკის ტურისტულ ცენტრად გადაქცევა	01.2020 – 10.2020	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი; ცენტრალური ბიუჯეტი; დონორი ორგანიზაციები	300,000 ლარი (100000 ევრო)	**Output:** 1) პარკის ტერიტორიაზე მოწყობილია ბილიკები, მზის განათებები, ფანჩატური, სველი წერტილი, ავტო სადგომი; 2) მოეწყობილია გადმოსახედი ადგილი; **Monitoring Indicators:** 1) მოწყობილი პარკის ტერიტორია; 2) ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია;	**Outcome:** 1) გაზრდილია ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა; 2) ჩნდება ახალი ტურისტული მომსახურების ობიექტები; **Outcome Indicators:** 1) ვიზიტორების რაოდენობა; 2) ახალი ბიზნესების რაოდენობა;
		2.3. აქტიური ტურისტული საინფორმაციო-საიმიჯო კამპანიის წარმოება	09.2019-12.2020	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი; ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;	35,000 ლ. (11,670 ევრო)	**Output:** 1) ჩატარებულია 3 საინფორმაციო ტური, საინფორმაციო ტურის მონაწილეა ადგილობრივი შემომყვანი ტურისტული კომპანიების, გიდების, სასტუმროების წარმომადგენლები; 2) მომზადებულია ახალი ტურისტული მარშრუტები; 3) მომზადებულია მუნიციპლიტეტის საიმიჯო ვიდეორგოლი; **Monitoring Indicators:** 1.საინფორმაციო ტურების და მონაწილეების რაოდენობა და სია; 2. ახალი ტურისტული მარშრუტის მიმართულებები;	**Outcome:** 1) გაზრდილია ვიზიტორების რაოდენობა ოზურგეთში; 2) გაჩნდა ახალი ბიზნესები; 3) ახალი მარშრუტის გამოყენებით გაზრდილია ვიზიტორების რაოდენობა; **Outcome Indicators:** 1) ვიზიტორების რაოდენობა; 2) ახალი ბიზნესების რაოდენობა;

						3. მომზადებული საიმიჯო ვიდეორგოლი და ნახვის რაოდენობა;	
		2.4.ტურისტულ ლოკაციებზე ინფრასტრუქტურის მოწყობა	01.2020 - 08.2021	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი; ცენტრალური ბიუჯეტი;	800,000 ლ (266,670 ევრო)	**Output:** 1) ტურისტულ ობიექტებთან მისასვლელი გზა ასფალტირებულია; 2) მოწყობილია საპიკნიკე ადგილები; 3) განახლებულია და მომზადებულია საინფორმაციო დაფები; **Monitoring Indicators:** 1) რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შედეგები;	**Outcome:** 1) ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია; 2)გაზრდილია ვიზიტორების რაოდენობა; **Outcome Indicators:** 1) მოსარგებლე ლოკაციების რაოდენობა; **2)** ვიზიტორების რაოდენობა;
1. უნარებიდ აადამიანურ რიკაპიტალი; 2. გარეპოზიციონირებ ადამარკეტინგი:	ადგილობრივი ადამიანური რესურსებისუნარ-ჩვევების განვითარება;	3.1. ტურიზმის სფეროში დასაქმებული ადამიანური რესურსების გადამზადება	01.2020-10.2020	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი; ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	7000 ლარი (2330 ევრო)	**Output:** 1) ჩატარდა 2 სასწავლო პროგრამა; 2) 20-მდე ტურისტული მომსახურების სფეროს წარმომადგენელი გადამზადებულია; **Monitoring Indicators:** 1) ტრენინგის მონაწილეების რაოდენობა და სია;	**Outcome:** 1)ტურიზმის სფეროში გაზრდილია მომსახურების ხარისხი; **Outcome Indicators:** 1)მომსახურების დონის შეფასება;
		3.2. დამწყები და მოქმედი ბიზნესის წარმომადგენლებისათვის სასწავლო პროგრამის ჩატარება	02.2020 - 10.2020	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი;	8000 ლ (2670 ევრო)	**Output:** 1) ჩატარებულია 2 სასწავლო კურსი: საგრანტო პროექტების წერა, ბიზნესის დაგეგმვა; 2) მონაწილეობა მიიღო 30-მდე მეწარმემ; **Monitoring Indicators:** 1) ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა; 2) ცოდნის დონის ზრდის შეფასება;	**Outcome:** 1) გაზრდილია ბიზნესის დაგეგმვის და მართვის უნარ-ჩვევები; **Outcome Indicators:** 1) მომზადებული ბიზნესგეგმების რაოდენობა რომელიც წარდგა სხვადასხვა ორგანიზაციებში დასაფინანსებლად;

10. დაფინანსების სქემა

LED გეგმით გთვალისწინებული თითოეული საქმიანობისათვის მოხდა ღირებულების განსაზღვრა ლარსა და ევროში. გათვალისწინებულია როგორც ადგილობრივი ასეცე ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსება, ასევე კერძო ბიზნესის თანამონაწილეობა და დონორი ორგანიზაციებიდან საჭირო დაფინანსების ოდენობა. ყველა დაგეგმილ საქმიანობაში ადგილობრივი ბიუჯეტით მოხდება თანადაფინანსება, რომელიც გათვალისწინებული იქნება შესაბამისი წლის საბიუჯეტო ხარჯებში.

როგორც ცრილიდან ჩანს, საერთო ბიუჯეტი შეადგენს 3,620,000 ლარს (1,206,670 ევრო), საიდანაც ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობა შეადგენს 608,000 ლარს (202,670 ევრო), ცენტრალური ბიუჯეტის თანამონაწილეობა 1,200,000 ლარი (400,000 ევრო), კერძო სექტორის თანამონაწილეობა 154,500 ლარი (51,500 ევრო), დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა 1,407,500 ლარი (469,160 ევრო), დაფინანსებაში დანაკლისი შეადგენს 250,000 ლარი (83,330 ევრო). ბიუჯეტით დაფინანსების წყარო შეადგენს 93.0%, მათ შორის: ადგილობრივი ბიუჯეტი 17,0%, ცენტრალური ბიუჯეტი 33,0 %, კერძო სექტორი 4,0%, დონორი ორგანიზაციები39,0%, დანაკლისი დაფინანსებაში 7.0%.

ცხრილი 2: დაფინანსების სქემა:

ქმედებები	*საერთაშორისო ღირებულება*	*დაფინანსების წყარო*				დანაკლისი დაფინანსებაში	შენიშვნები
		ადგილობრივი ბიუჯეტი	მაღალი დონის ბიუჯეტი	ბიზნესი	დონორები		
1.1.ყოველწლიურიქართულიჩაისფესტივალისმოწყობა	30,000 ლ (10000 ევრო)	18000 ლ (6000 ევრო)		4500 ლ (1500 ევრო)	7500 ლ (2500 ევრო)		
1.2. სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა	15,000 ლ (5000 ევრო)	15000 ლ (5000 ევრო)					
1.3. ადგილობრივი მწარმოებლების მარკეტინგული საქმიანობების მხარდაჭერა	21,000 ლ (7000 ევრო)	21000 ლ (7000 ევრო)					
1.4. ქალ მეწარმეთა ყოველწლიური ეკონომიკური ფორუმის ორგანიზება	4,000 ლ (1330 ევრო)	4,000 ლ (1330 ევრო)					
1.5.ადგილობრივი მწარმოებლების ფინანსებზე ხელმისაწვდომობა	900,000 ლ (300,000 ევრო)		500,000 ლ (166,670 ევრო)	150,000 ლ (50,000 ევრო)	250,000 ლ (83,330 ევრ0)		
1.6.სანერგე მეურნეობის მოწყობა	300,000 ლ (100,000 ევრო)	50,000 ლ (16,670 ევრო)				250,000 ლ (83,330 ევრო)	
2.1.ქალაქში ტურისტული საგამოფენო სივრცის მოწყობა (ექსპო-გურია)	1,200,000 ლ (400000 ევრო)	100,000 ლ (33,330 ევრო)	200,000 ლ (66,670 ევრო)		900,000 ლ (300,000 ევრო)		
2.2.ანასეულის დენდროლოგიური პარკის ტურისტულ ცენტრად გადაქცევა	300,000 ლ (100,000 ევრო)	50,000 ლ (16,670 ევრო)			250,000 ლ (83,330 ევრო)		
2.3.აქტიური ტურისტული საინფორმაციო-საიმიჯო	35,000 ლ	35,000 ლ					

კამპანიის წარმოება	(11,670 ევრო)	(11,670 ევრო)					
2.4.ტურისტულ ლოკაციებზე ინფრატსრუქტურის მოწყობა	800,000 ლ (26,6670 ევრო)	300,000 ლ (100,000 ევრო)	500,000 ლ (166,670 ევრო)				
3.1. ტურიზმის სფეროში დასაქმებული ადამიანური რესურსების გადამზადება	7,000 ლარი (2,330 ევრო)	7,000 ლარი (2,330 ევრო)					
3.2. დამწყები და მოქმედი ბიზნესის წარმომადგენლებისათვის სასწავლო პროგრამის ორგანიზება	8,000 ლ (2,670 ევრო)	8,000 ლ (2,670 ევრო)					
სულ	**3,620,000 ლ (1,206,670 ევრო)**	**608,000 ლ (202,670 ევრო) 17.0%**	**1,200,000 (400,000 ევრო) 33,0%**	**154,500 ლ (51,500 ევრო) 4.0%**	**1,407,500 ლ (469,160 ევრო) 39.0%**	**250,000 ლ (83,330 ევრო) 7.0%**	

11.მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის საქმიანობების განხორციელების მონიტორინგს განახორციელებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, რომლის წევრია ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის, მცირე და საშუალო ბიზნესის და საზოგადოების წარმომადგენლები, სულ16 ადამიანი, მ.შ. 5 ქალი. ინფორმაციას დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების შესახებ საბჭოს მიაწოდებს LEDოფიცერი. საბჭო შეიკრიბება ყოველს 3 თვეში ერთხელ და განიხილავს გეგმის შესრულებასთან და მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ცხრილი 3: საქმიანობები და მონიტორინგის გეგმა:

საქმიანობა	*ხანგრძლივობა*	*Expected Outcome 1-6 თვე*	*Expected Outcome 7-12 თვე*	*Expected Outcome 13-18 თვე*	*Expected Outcome 19-24 თვე*
1.1.ყოველწლიურიქართულიჩაისფესტივალისმოწყობა	02.2020-08.2021	შექმნილია ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფი; შერჩეული და მოწვეულია მონაწილეები; დამზადებულია ფესტივალის მასალები;	ჩატარებულია ქართული ჩაის ფესტივალი	შექმნილია ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფი; შერჩეული და მოწვეულია მონაწილეები; დამზადებულის ფესტივალის მასალები;	ჩატარებულია ქართული ჩაის ფესტივალი

1.2. სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა	01.2020 – 08.2021	ტერიტორიული ერთეულების მიხედვით შერჩეულია დარგები და ნაკვეთები; მომზადებულია დეტალური ხარჯთაღრიცხვა; გამოცხადებულია ტენდერი მასალების შესაძენად;	ოზურგეთის ტერიტორიულ ერთეულებში მოწყობილია სადემონსტრაციო ნაკვეთი	ტერიტორიული ერთეულების მიხედვით შერჩეულია დარგები და ნაკვეთები; მომზადებულია დეტალური ხარჯთაღრიცხვა; გამოცხადებულია ტენდერი მასალების შესაძენად;	ოზურგეთის ტერიტორიულ ერთეულებში მოწყობილია სადემონსტრაციო ნაკევთი
1.3. ადგილობრივი მწარმოებლების მარკეტინგული საქმიანობების მხარდაჭერა	02.2020-08.2021	1. მონაწილეებმა წარმოადგინა გამოფენების განრიგი; განისაზღვრა თითოეულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ვალდებულება მხარდაჭერისთვის; 2. მომზადებულია საინვესტიციო კატალოგის ინფორმაცია, გამოცხადებულია ტენდერი მომსახურებაზე; 3. წარმატებული ფერმერი/მეწარმეების შესარჩევად შექმნილია კომისია;	1. ადგილობრივი მწარმოებლები მონაწილეობას ღებულობს 4-5 გამოფენაში ქვეყნის მასშტაბით; 2. დაბეჭდილია ოზურგეთის საინვესტიციო კატალოგი; 3. გამოვლენილია წლის წარმატებული ფერმერი/მეწარმე; მომზადებულია საიმიჯო ვიდეორგოლი;	1. მონაწილეებმა წარმოადგინა გამოფენების განრიგი; განისაზღვრა თითოეულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მოვალეობა მხარდაჭერისთვის; 2. გამოვლენილია წლის წარმატებული ფერმერი/მეწარმე; მომზადებულია საიმიჯო ვიდეორგოლი;	1. ადგილობრივი მწარმოებლები მონაწილეობას ღებულობს 4-5 გამოფენაში ქვეყნის მასშტაბით; 2. გამოვლენილია წლის წარმატებული ფერმერი/მეწარმე; მომზადებულია საიმიჯო ვიდეორგოლი;
1.4. ქალ მეწარმეთა ყოველწლიური ეკონომიკური ფორუმის ორგანიზება	09.2019-12.2019	შერჩეულია მონაწილეები; განისაზღვრა დღის წესრიგი; მომსახურების მისაღებად გამოცხადა ტენდერი; გაფორმდა ხელშეკრულება;	ჩატარდა ქალ მეწარმეთა ეკონომიკური ფორუმი		
1.5. ადგილობრივი მწარმოებლების ფინანსებზე ხელმისაწვდომობა	01.2020 – 08.2021	სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების პროგრამების შესახებ ინფორმაცია	პროექტების განაცხადების მომზადებაში დახმარება; დაფინანსების მიღება	სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების პროგრამების შესახებ	პროექტების განაცხადების მომზადებაში დახმარება; დაფინანსების მიღება

		გავრცელებულია დაინტერესებული პირებისათვის;	პროგრამებიდან	ინფორმაცია გავრცელებულია დაინტერესებული პირებისათვის;	პროგრამებიდან
1.6.სანერგე მეურნეობის მოწყობა	02.2020-08.2021	მომზადებულია დეტალური ხარჯთაღრიცხვა და დასრულებულია პროექტირება;	მომზადებულია საგრანტო განაცხადი დონორი ორგანიზაციებისათვის დაფინანსების მიღების მიზნით	მიღებულია გადაწყვეტილება თანადაფინანსების შესახებ	დაწყებულია სანერგეს მოწყობითი სამუშაოები
2.1.ქალაქში ტურისტული საგამოფენო სივრცის მოწყობა (ექსპო-გურია)	10.2019-08.2021	შერჩეულია ადგილი, მომზადებულია საპროექტი წინადადება	მომზადებულია საგრანტო განაცხადი დონორი ორგანიზაციებისათვის და მიმართვა სახელმწიფო სტრუქტურებისთვის	მიღებულია გადაწყვეტილება თანადაფინანსების შესახებ	დაწყებულია ტურისტული საგამოფენო სივრცის მოწყობის სამუშაოები
2.2. ანასეულის დენდროლოგიური პარკის ტურისტულ ცენტრად გადაქცევა	01.2020 – 10.2020	მომზადებულია და დამტკიცებულია პარკის რეაბილიტაციის პროექტი	დასრულებულია პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები		
2.3.აქტიური ტურისტული საინფორმაციო-საიმიჯო კამპანიის წარმოება	09.2019-12.2020	1. მომზადებულია საინფორმაციო ტურების გრაფიკი; მოწვეულია დაინტერესებული ორგანიზაციები; ჩატარებულია 1 საინფორმაციო ტური; 2. შერჩეულია ახალი ტურისტული მარშრუტი და გამოცხადებულია ტენდერი დაგეგმვის მომსახურების მისაღებად; 3. მომზადებულია სატენდერო დოკუმენტაცია ვიდეორგოლისთვის, გამოცხადებულია ტენდერი, ხელშეკრუება გაფორმებულია გამარჯვებულთან;	1. საინფორმაციო ტურზე მოწვეულია დაინტერესებული ორგანიზაციები; ჩატარებულია 2 საინფორმაციო ტური; 2. მომზადებული ახალი ტურისტული მარშრუტის გეგმა; 3. მომზადებულია და გავრცელებულია ოზურგეთის საიმიჯო ვიდეორგოლი;		

2.4.ტურისტულ ლოკაციებზე ინფრატსრუქტურის მოწყობა	01.2020 - 08.2021	შერჩეულია ტურისტული ლოკაციები; მომზადებულია საპროექტო წინადადება; გამოცხადებულია ტენდერი მომსახურების შესასყიდად;	დაგეგმილი პროექტი განხორციელებულია, მოწყობილია ინფრასტრუქტურა	დაგეგმილი პროექტი განხორციელებულია: დაიგო გზები, მოწყობილია საპიკნიკე ადგილები	
3.1. ტურიზმის სფეროში დასაქმებული ადამიანური რესურსების გადამზადება	01.2020-10.2020	მომზადებულია სატენდერო წინადადება; გამოცხადებულია ტენდერი; შერჩეულია ტრენინგების მონაწილეები, ჩატარებულია 1 ტრენინგი	შერჩეულია მონაწილეები, ჩატარებულია 1 ტრენინგი		
3.2. დამწყები და მოქმედი ბიზნესის წარმომადგენლებისათვის სასწავლო პროგრამის ორგანიზება	02.2020 - 10.2020	მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით გამოცხადებულია ტენდერი; გამარჯვებულთან გაფორმებულია ხელშეკრულება	შერჩეულია ტრენინგის მონაწილეები; ჩატარებულია 2 სასწავლო პროგრამა		